პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით | შაბათი, 21 ივნისი 1924 წ. | წელიწადი მეოთხე | ფასი 5 კაპ. ჩერ.

# წითელი არმიელი

№ 529 ქ. მ. დ. პოლიტ-გან-ის ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ჯორჯიაშვილის ქუჩა № 8. საველე ელ. 85
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვ. ნეც. ნომპარელის სტრიქონი
სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლო 1 საათამდე

## განცხადება.

შაბათს, 23 ივნისს, საღამოს 6 საათზე თბილისის აღმასკომის დარბაზში დანიშნულია თბილისის საბჭოს სხდომა.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1) ზაჰესკომის მოხსენება.
2) სექციების მუშაობის შესახებ.
3) მიმდინარე კითხვები.

დასწრება ყველა წევრებისათვის სავალდებულოა.—

პრეზიდიუმი.

## კიდევ ერთი ცნობა

საბჭოთა კავშირი იცნო კიდევ ერთმა სახელმწიფომ, დანიამ.

დანია ბურჟუაზიული ქვეყანაა, რომლის სათავეში სდგას ეგრედ წოდებული „მუშათა" მთავრობა, რომელსაც მეთაურობს მე-2-რე გამყოფელ ინტერნაციონალის ერთ-ერთი ცნობილი ბელადი სტაუნინგი.

ისმება კითხვა რა მიზეზი დაედო საფუძვლად დანიის მიერ საბჭოთა ქვეყნების ცნობას?

ცხადია, რომ ეკონომიური სარგებლობა.

დანია ისევეა დაინტერესებული ჩვენთან ვაჭრობით, როგორც სხვა დიდი ქვეყნები, რომლებმაც უკვე გვიცნეს.

დანიამ ჯერ კიდევ 1923 წელში იცნო დე-ფაქტოდ საბჭოთა რესპუბლიკები, მაგრამ იურიდიულად ცნობას ვერ ბედავდა, რადგან ეშინოდა დიდი იმპერიალისტური სახელმწიფოების.

ამ ჟამად კი, როდესაც საბჭოთა კავშირის ცნობა გახდა იმპერიალისტური სახელმწიფოების მორიგ ამოცანად: როდესაც თვით საფრანგეთის შეურიგებელი, მტაცებლური ბურჟუაზიაც ალაპარაკდა ამავე ცნობის შესახებ, ცხადია დანიასაც საშვალება ეძლევა დააჩქაროს ცნობა და დაამყაროს საბჭოთა ფედერაციასთან მისთვის მეტად საჭირო სავაჭრო-ეკონომიური კავშირი.

დანია უმეტესად სასოფლო მეურნეობის ქვეყანაა. იქ მიწას ამუშავებენ გაუმჯობესებული სამიწადმოქმედო იარაღებით და აგრონომიის ყველა წესების მიხედვით.

მიუხედავად ამისა დანიაში საკმაო პური არ მოდის. დღემდის დანია ყიდულობდა პურს ამერიკიდან, რომელიც მას მეტად ძვირად უჯდებოდა. საბჭოთა კავშირის ცნობით დანია მიიღებს საბჭოთა პურს, რომელიც ხარისხითაც უკეთესია ამერიკულზე და უფრო იაფიც არის.

დანია აგრეთვე დაინტერესებულია სასოფლო-სამეურნეო იარაღების გატანით საბჭოთა ბაზარზე. სხვათა შორის დანიას შეუძლია მოგვაწოდოს ჩინებული ჯიშის საქონელი, რომელიც საუცხოვოდ მოშენდება ჩვენშიაც.

როგორც ვხედავთ დანიის ცნობას დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც ჩვენთვის, ისე მისთვის.

ისიც ისარგებლებს ჩვენც ვისარგებლებთ. აი თავი და თავი მიზეზი, რამაც გამოიწვია ეს ნაბიჯი და რომელიც ფრიად სასარგებლო იქნება ორივე მხარესათვის. დანიის ცნობა კიდევ ერთხელ ადასტურებს საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის სიმტკიცეს და მის შინაურ სიძლიერეს.

მალე დანიის მაგალითს სხვებიც მიყვებიან.

## დანიამ იცნო საბჭოთა კავშირი.

ლიტვინოვმა მიიღო დანიის მთავრობიდან ოფიციალური ნოტა საბჭოთა კავშირის იურიდიულათ ცნობის შესახებ.

ნოტაში აღნიშნულია დანიის მთავრობის სურვილი საჩქაროდ განაახლოს დიპლომატიური დამოკიდებულება. 1923 წელს დადებული დროებითი შეთანხმება რჩება ძალაში.

## ნორვეგია-საბჭოთა მოლაპარაკება.

19 ივნისს მოსკოვში დაიწყო მოლაპარაკება საბჭოთა კავშირს და ნორვეგიას შორის სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ, რაიც საბოლოოდ განამტკიცებს ნორმალურ სავაჭრო ურთიერთობას ორ ქვეყნებს შორის. 1921 წელში დროებით დადებული ხელშეკრულება გაუქმებულ იქნება.

## მატეოტის მკვლელობის გარშემო.

### პასუხისმგებელია ფაშისტური ბელადები.

ტრედიუნიონთ კონგრესის საბჭომ და მუშათა პარტიის აღმასკომმა გაუგზავნეს დეპეშები მუსოლინს, მატეოტის ქვრივს და იტალიის სოციალისტურ პარტიის აღმასკომს, რომელშიაც აღშფოთებას გამოსთქვამს მატეოტის მკვლელობის გამო. დეპეშაში ნათქვამია, რომ ინგლისის მუშები მატეოტის მკვლელობის საქმეში დამნაშავედ სთვლიან ფაშისტურ ბელადებს.

## ინგლისის მუშათა პარტიის პარლამენტარულ ფრაქციის დადგენილება.

მუშათა პარტიის პარლამენტარულმა ფრაქციამ დაადგინა გამოაცხადოს ღრმა აღშფოთება მატეოტის სიკვდილის გამო, გამოუცხადოს იტალიის სოციალისტურ პარტიას თავისი სიმპატია და დაეხმაროს მას დემოკრატიის მჩაგვრელ ძალთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

### საპროტესტო გაფიცვები.

რომში სწარმოებს გაფიცვები მატეოტის მკვლელობის საპროტესტოდ. მღელვარების თავიდან ასაცილებლად დააპატიმრეს 70 კომუნისტი. მუშათა საკრებულოებზე ჯარები სდგას. რეფორმისტები და ბურჟ. ჯგუფები მოუწოდებენ მუშებს თავი შეიკავონ გაფიცვისაგან.

### საფრანგეთი აღშფოთებულია.

საფრანგეთის პრესაში თანდათან იზრდება აღშფოთება მატეოტის მკვლელობის გამო. ოფიციალური პრესა აღნიშნავს რომ მკვლელობას მოყვება პოლიტიკური ცვლილება იტალიის რეჟიმში. ფიქრობენ, რომ ფაშისტური მთავრობა შეცვლილ იქნება კოალიციონურით. საფრანგეთის სოციალისტები და შრომის კონფედერაცია აწყობენ საპროტესტო მიტინგებს.

## ბელგიის გამოძახილი.

აღშფოთებულია აგრეთვე ბელგიის საზოგადოებრივი აზრი.

ბელგიის პრესის აზრით იტალია სერიოზულ ცვლილებათა წინაშე სდგას.

## იტალია სერიოზული ცვლილებების წინაშე სდგას.

კომპარტიის ცეკამ წინადადება მისცა მაქსიმალისტებსა და რეფორმისტებს შეაერთონ ძალები ფაშისტური მთავრობის ჩამოსაგდებად. კომპარტიის აზრით ფაშისტურ პარტიაში მოხდება განხეთქილება. ფაშისტური გაზეთი „იმპერო" ბრალს სდებს თვით ფაშისტებს ანტი ფაშისტურ კამპანიის გამოწვევაში.

## კომინტერნის მეხუთე კონგრესის გახსნა

### 19 ივნისის სხდომის მოკლე ანგარიში

ერთხმად მიღებულ იქნა კონგრესის დღის წესრიგი: 1. ლენინი და კომინტერნი, 2 მოხსენება კომინტერნის მოღვაწეობის შესახებ—(მომხსენებელი ზინოვიევი), 4. მსოფლიო ეკონომიური მდგომარეობა (ვარგა), 4. საკითხი პროგრამის შესახებ (ბუხარინი და ტალგეიმერი), 5. საკითხი პროფკავშირთა ტაქტიკის შესახებ (ლოზოვსკი და გერცეჲი), 6. ნაციონალური საკითხი: კომპარტიის პოზიცია ნაციონალურ საკითხში (მანუილსკი, ვალეცკი და ბოჟკოვიჩი. რევოლიუციონ. მოძრაობა აღმოსავლეთში და კოლონიებში (როი, კატაიამა და ჩინგი), ნეგრების საკითხი (ნონი და ტერენი), 7. პარტიის ორგანიზაციული აღმშენებლობა კომინტერნის წესდება, ქალთა შორის მუშაობა, მუშაობა, არმიაში, არალეგალური მუშაობა 8. საპროპაგანდო მუშაობა, 9. მოხსენება ფაშიზმზე (ბორდიგი და ფრეიმუტი), 10. საკითხი ინტელიგენციის შესახებ (კლარა ცეტკინა და სელიე), 11. სსრკ-ს ეკონომიური მდგომარეობა (რიკოვი), 12. გლეხთა ინტერნაციონალი (კოლაროვი), 13. ახალგაზრდათა მოძრაობა, 14. „მოპრი"-ს მოხსენება, 15. კომინტერნის ცალკე სექციების საკითხები, 16. პროფესიონალური მოძრაობა.



ამხ. კოლაროვი.
კომინტერნის გენერალური მდივანი.

### კონგრესის კომისიები.

კონგრესმა ამტკიცებს შემდეგ კომისიებს: ლენინის, პოლიტიკურს, საორგანიზაციოს, საპროგრამოს, საპროპაგანდოს, პროფმოძრაობის, ნაციონალურ საკითხის, კოლონიალურს, ქალთა, გლეხთა და ახალგაზრდობის საკითხებში.

### მარქსის და ენგელსის ხელნაწერები.

თავმჯდომარის წინადადებით დღის წესრიგი შევსებულ იქნა ამხ. რიაზანოვის მოხსენებით მარქსის და ენგელსის ახლად აღმოჩენილ ხელნაწერების შესახებ.

### ამხ. ზინოვიევის გამოსვლა.

დელეგატები მხურვალე ტაშით ხვდებიან ამხ. ზინოვიევს, რომელიც გამოდის მოხსენებით კომინტერნის ტაქტიკის შესახებ. დელეგატები დგებიან და მღერიან ინტერნაციონალს.

ოთხის საათის განმავლობაში ამხ. ზინოვიევმა გააკეთა კომინტერნის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, შეეხო კომინტერნის შიგნით მიმართულებათა ბრძოლის ისტორიას, საერთაშორისო მდგომარეობას და დაწვრილებით შეჩერდა კომინტერნის ცალკე სექციის მოღვაწეობაზე.

## საფრანგეთის ახალი მთავრობა

### ფაშისტურ დემონსტრაციების წინააღმდეგ.

კვირას, საფრანგეთის კომპარტია რევოლიუციონური ორგანიზაციების დახმარებით აწყობს დიდ დემონსტრაციებს ქუჩებში.

## დიმანსი და პარმური ერიოსთან.

ერიომ მიიღო ბელგიის საგარეო მინისტრი დიმანსი, რომელმაც გააცნო მას თავის მოლაპარაკების შინაარსი მაკდონალდთან. შემდეგ ერიომ მიიღო ლორდ პარმური, რომელმაც მიულოცა პირველს. ზაგათს ერიო მიემგზავრება ლონდონში, საიდანაც წავა ბრიუსელს.

## ერიოს კაბინეტის პარტიული შემადგენლობა.

ერიოს კაბინეტში შედიან: 13 რადიკალ-სოციალისტი—ერიო, რენუ, შოტანი, კლემანტალი, დიუმენილი, ფრანსუა ალბერ, გოდარი, პეიტრალი, დალვე, კეილი, პიერ რობერ, ლეონ მეიერ; 4 რესპუბლიკანელი სოციალისტი—ბოვიე, ლაპიერი, მორო დჟიაფერი; 2 მემარცხენე რადიკალი—რეინლანდი და ლორან-ეინაკი და უპარტიო—გენერალი ნოლლე.

## ერიო აზვიადებს ნოლლეს ავტორიტეტს.

„მატენის“ თანამშრომელთან საუბარში ერიომ აღნიშნა გენერალ ნოლლეს კომპეტენტობა გერმანიის სამხედრო მდგომარეობის საკითხებში. შემდეგ ერიომ განაცხადა, რომ საფრანგეთი ეცდება დახმარება გაუწიოს გერმანიის დემოკრატიას, მაგრამ არ დაინდობს გერმანიის რეაქციას.

### ერთ ხმაზე.

საფრანგეთის პრესის საერთო აზრი მთავრობის დეკლარაციის შესახებ კეთილსასურველია.

„ერნუველი“ საერთო ამნისტიის აუცილებლობას.

„იუმანიტე“ პროტესტს აცხადებს სადულისა და გილბოს კამორიცხვის შესახებ იმ პირთაგან, რომლებზედაც ვრცელდება ამნისტია.

## დე-სელვას არჩევა.

საფრანგეთის სენატის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა დე-სელვა. პრესის აზრით სენატმა, დე-სელვას არჩევით დაამტკიცა თავისი გადაწყვეტილება იკისროს მემარცხენეთა დამაწყნარებელი როლი.

### ნდობის გამოცხადება.

დეპუტატთა პალატამ 313 ხმით 234-ს წინააღმდეგ გამოუცხადა ნდობა მთავრობას, რომელიც ატარებს საერთო არჩევნებზე აღნიშნულ პოლიტიკას.

### თანაგრძნობა იტალიის პარლამენტს.

დეპუტატთა პალატამ გამოუცხადა თანაგრძნობა იტალიის პარლამენტს მატეოტის დაკარგვის გამო. კამათის დროს კენჭის ყრამდი გაიმართა გაცხოველებული პოლემიკა კომუნისტებსა და სოციალისტებს შორის.

### ამნისტია.

დეპუტატთა პალატაში შეტანილ იქნა კანონპროექტი, რომელიც ანიჭებს სრულ ამნისტიას ყოველ პოლიტიკურ დამნაშავეებს 1914 წლიდან.

---

## ამერიკა.

## მექსიკის კონფლიქტი.

### კემინსი ჯიუტობს.

მექსიკასა და ინგლისს შორის კონფლიქტი ჯერ კიდევ არ არის მოგვარებული. მექსიკის მთავრობა ბრალს სდებს კემინს, რომ ის აწვდიდა ბრიტანეთის მთავრობას საეჭვო ცნობებს და შეურაცხყოფდა მექსიკის მთავრობას მექსიკის მთავრობის მოთხოვნით ბრიტანეთის მთავრობამ უბრძანა კემინს დასტოვოს მექსიკა, მაგრამ მან უარი განაცხადა, რასაც შედეგად საკონსულოს შენობაზე ჯარი შემოარტყეს.

---

## იტალია

## ფაშიზმის ბანდიტები

## ფაშისტურ პარტიის მდივანის დაპატიმრება.

„ნიუ-იორკ-ტაიმსის კორესპონდენტი რომიდან შემდეგს იუწყება: „დააპატიმრეს პოლკოვნიკი დჟიოვანი მარინელი, რასაც დიდი აურზაური მოჰყვა უმაღლეს ფაშისტურ წრეებში. მარინელი ცნობილია როგორც მუსოლინის ახლო მეგობარი: მარინელის ბრალდება იმ ჯგუფის წევრობა, რომელმაც გაიტაცა მატეოტი.

## გვამს სძებნიან.

დაპატიმრებულ შირელის ჩვენებით მატეოტი გაიტაცეს იმ მიზნით რათა ხელი შეეშალათ მისთვის ფაშისტების წინააღმდეგ გამოსვლაზე პარლამენტში. შირელმა განაცხადა, რომ დეპუტატის გვამი დამალული უნდა იყოს ნეაპოლის ახლოს ვილლაშიო, მაგრამ გვამი ვერ აღმოაჩინეს, ფიქრობენ, რომ მატეოტის გვამი გადაგდებულია, ღრმა ტბაში, რათა ადვილად ვერ იპოვნონ.

### ფაშისტების უმრავლესობამ უარყო გამოძიება.

ფაშისტების უმრავლესობამ პარლამენტში უარი განაცხადა სპეციალურ საგამომძიებლო კომისიის დანიშვნაზე. პრეზიდიუმს აზრად აქვს შეადგინოს შერეული კომისია, რომელშიაც შევლენ ოპოზიციის წარმომადგენლები. ეს ნაბიჯი მიიღო მუსოლინმა, რომელიც სცდილობს „ნათელჰყოს“ მატეოტის მკვლელობის საქმე.

### კომუნისტების მოწოდება საერთო გაფიცვებისაკენ.

„ჩიკაგო ტრიბუნის“ კორესპონდენტის ცნობით მდგომარეობა იტალიაში სერიოზულია. კომუნისტებმა გამოაქვეყნეს საგაფიცვებო მოწოდება, მაგრამ ძნელია დიდი გამოსვლების მოწყობა, ვინაიდან რომში ფაშისტურ მილიციის გარდა არავითარი შეკავშირებული ძალა არ არსებობს.

### მუსოლინი იმუქრება პარლამენტის დაშლით,

ოპოზიციურ პარტიებმა გამოიტანეს რეზოლიუცია, რათა გამოძიებულ იქნას მატეოტის მკვლელობა „კონსტიტუციის გზით“ მმგრამ მუსოლინი იმუქრება პარლამენტის დაშლით, ხოლო ეს იმას ნიშნავს, რომ მდგომარეობის ბატონ პატრონად დარჩებიან ფაშისტები.

### მკვლელობის ფაქტი გამორკვეულია.

მატეოტის მკვლელობა ერთერთი დიდი ფაქტია მუსოლინის ძალაუფლების სათავეში ჩადგომის შემდეგ. ტერორისტული ორგანიზაციის მომწყობი არიან ჩეზარე როსი და მარინელი, ხოლო სისრულეში მოიყვანა დუმინიმ, რომელიც ამ ჟამად პასუხისგებაშია მიცემული.

---

## ინგლის საბჭოთა კონფერენცია

გაზეთებიდან მიღებულ ცნობით რაკოვსკის თათბირი ინგლისის მესაკუთრეებთან რუსეთის ძველი ვალების შესახებ გადაიდო მომავალ კვირისათვის. მესაბუთრეების აზრით რაკოვსკის მემორანდუმი უფრო რთულია, ვინემ ისინი მოელოდენ და ამჯობინებენ სხდომის გადადებას ციფრების საკითხის გამორკვევამდე. „დეილი ტელეგრაფი“, რომელიც გამოსთქვამს თეთრგვარდიელთა ინტერესებს, ფიქრობს, რომ ერიო მაკდონალდთან დარბაზობის დროს განიხილავს საფრანგეთის მონაწილეობის საკითხს ინგლის-საბჭოთა კონფერენციაზე, თუ ეს ვერ მოხერხდა, იმ შემთხვევაში კონფერენციის მუშაობა გადადებულ იქნება მანამდი, სანამ არ იქნება მიღებული შეთანხმება რუსეთის საკითხში.

## მაკდონალდი გაურბის პასუხს.

თემთა პალატაში შეკითხვაზე, მაკდონალდმა განაცხადა, რომ მთავრობას არ განუხილავს და არც ფიქრობს განიხილოს საკითხი საბჭოთა ვალდებულების გარანტიის შესახებ. პრემიერმა განაცხადა, რომ არავითარი ოფიციალური ცნობა არ არის იმის შესახებ, რომ სწარმოებდეს კომუნისტური ან სხვა რაიმე პროპაგანდა ინგლისის კანონების წინააღმდეგ.

შეკითხვაზე—არის თუ არა ცნობები ბესარაბიის საზღვარზე მდგომარეობის შესახებ, მაკდონალდმა განაცხადა, რომ მას არაფერი შეუძლია ამის შესახებ სთქვას და დაუმატა, რომ ცნობები ამის შესახებ უკვე მოეთხოვა ბრიტანეთის აგენტებს.

---

## ამერიკა და ჩინეთი

## აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზა.

ამერიკის ელჩმა პეკინში მიიღო ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ველინგტონ—კუსაგან ნოტა, რომელიც იმავე დროს გადაეცა იაპონიის და საფრანგეთის ელჩებს. ნოტა ამტკიცებს ამერიკის ელჩის ნოტის მიღებას რეზოლიუციით, რომელიც გამოიტანა ვაშინგტონის კონფერენციამ აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის შესახებ და რომელშიაც წინადადება ეძლეოდა ჩინეთს არ დაევიწყებია თავისი პასუხისმგებლობა ამ გზის საქმეში და დაეცვა კრედიტორთა უფლებები.

საპასუხო ნოტაში ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი აცხადებს, რომ გზით დაინტერესებული არიან ჩინეთი და სსსრკ. ვაშინგტონის კონფერენციის შემდეგ კი ჩინეთი და სსრკ. შეერთებულად განიხილავენ საკითხს, ვინაიდან ეს მარტო მათ ეხება.

ნოტაში ნათქვამია რომ ჩინეთის და სსრკ-ს შეთანხმება არ არღვევს სხვა სახელმწიფოების უფლებებს და არავითარი საბუთი არ აქვს იმ წუხილს, რომელსაც იჩენს ამერიკის მთავრობა.

---

## საბჭოთა კავშირში

## ინტერვენციით დაზარალებულთა საჩივრების განხილვა.

ინტერვენციის დაზარალებულთა საჩივრების განმხილავ კომისიის თავმჯდომარემ ამხ. სემაშკომ როსტას თანამშრომელთან საუბარში განაცხადა: კომისიამ მიიღო მრავალი საჩივარი, მაგრამ ჯერ-ჯერობით განხილულია საჩივრები არხანგელის გუბერნიის მოქალაქეთა, რომლებიც დაზარალებულ იქნენ ინგლისის ინტერვენციით. საჩივრები მეტად საყურადღებოა და უმეტესად ეხება ინგლისის ჯარების პირდაპირ მოქმედებას.

ამხ, სემაშკოს განცხადებით დაზარალებულთა საჩივრებს კომისია უშუალოდ არ მიიღებს.

## იტალიის ფაშიზმს წყალი შეუდგა.

ამ ერთი კვირის უკან რადიომ მოგვიტანა ცნობა, რომ იტალიაში ვერაგულად მოკლულ იქნა სოციალისტი მატეოტი.

საზოგადოდ მას შემდეგ რაც ფაშისტები გამეფდენ იტალიაში და დაეპატრონენ ძალაუფლებას, მკვლელობა, ძარცვა-გლეჯა, მშრომელი ხალხის ძარბევა ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა.

უკვე მეორე წელია, რაც ფაშისტების ბელადი მუსოლინი ბრძანებლობს იტალიას. ამ ხნის განმავლობაში მან, ერთგულმა გამტარებელმა იტალიის იმპერიალისტური ბურჟუაზიის მიზნებისა უკიდურეს მდგომარეობამდე მიიყვანა მთელი მხარე.

ფაშისტებმა შესძლეს მუშათა ორგანიზაციების განადგურება. ფაშისტების დიქტატურა ძვირად დაუჯდა იტალიის მშრომელ ხალხს. ვინ მოსთვლის იმ ვერაგობას და სიმხეცეს, რომელიც ჩაიდინეს შავბლუზიან რეაქციონერებმა თავისი ძალაუფლების გასამტკიცებლად. დღეს მთელი იტალია გმინავს ფაშისტების ჩექმების ქვეშ.

მკვლელობა, კარ-მიდამოს გადაწვა, დარბევა აი იტალიის ცხოვრების დღევანდელი სურათი. მაგრამ ამჟამად დამარცხებული იტალიის პროლეტარიატი ენერგიულად ემზადება ფაშისტების ასალაგმავად.

მიუხედავათ საშინელი რეპრესიებისა და იტალიის შემთანხმებელ სოციალისტების ღალატისა, იტალიის კომპარტია მაინც მტკიცედ სდგას მუშათა ინტერესებისა და პროლეტარულ რევოლიუციის სადარაჯოზე. ბევრი მსხვერპლი გაიღო მან ფაშისტებთან ბრძოლაში, ბევრსაც გაიღებს მომავალში, მაგრამ ის მაინც გამარჯვებული გამოვა.

ამის თავდებია ის მღელვარება, რომელსაც დღეს ადგილი აქვს იტალიაში მატეტოტის მკვლელობის გარშემო.

მატეტოტი ერთ-ერთი ენერგიული მოწინააღმდეგე იყო მუსოლინის და მისი დამქაშების.

საპარლამენტო ტრიბუნიდან ის სასტიკ კრიტიკას აწარმოებდა ფაშისტების წინააღმდეგ და ამხელდა მათ შავ საქმეებს.

ფაშისტებმა მასში დაინახეს დიდი მტერი და გამოასალმეს სიცოცხლეს.

ამ საზიზღარმა მკვლელობამ აღშფოთებაში მოიყვანა არა მარტო იტალიის, არამედ მთელი ქვეყნის მშრომელი მასები.

წარმოიდგინეთ თვით ყვითელი სოციალისტებიც აყაყანდენ ფაშისტების წინააღმდეგ.

მატეოტის მკვლელობა ღირსშესანიშნავია სხვა მხრივაც. მან სავსებით გამოაშკარავა ფაშისტების ბატონობის ხანმოკლეობა.

კარგა ხანია რაც თვით ფაშისტებში დაიწყო განხეთქილება; ერთი მხარე მათი მოითხოვდა ფაშისტურ კანონების დაცვას და მის მიხედვით მოქმედებას—მეორე მხარე კი ადგია უპასუხისმგებლო დიქტატორობის და შეუზღუდველი უფლებებით სარგებლობის თვალსაზრისს.

მატეოტის მკვლელობამ დაადასტურა აგრეთვე, ის რომ იტალიის მუშებში კვლავ გუზგუზებს რევოლიუციონური ცეცხლი. სტიქიური გაფიცვები, რომლებიც მოედო იტალიას ამის საუკეთესო მტკიცებაა. მკვლელობამ თვით ფაშისტებშიც გააღრმავა განხეთქილება. ფაშისტები იმდენად დაშინებული არიან მუშათა გაფიცვებით, რომ გააძლიერეს ჯარები მუშათა რაიონებში, დააპატიმრეს 70 კომუნისტი და სხვა.

ამრიგად ფაშიზმს საფუძვლიანად შეუდგა წყალი.

იტალიის მუშათა კლასი კვლავ იკრეფს ძალებს.

ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ მხოლოდ ის გახდება ფაშიზმის მესაფლავე, ყველა დაჩაგრულთა და წამებულთა სასტიკი შურის მაძიებელი. და ეს დრო შორს არ არის.

—მ.




## რას ფიქრობენ ჩვენზე გლეხები.

შუა დღეა. მზეს საშინელი ბუღი დაუყენებია. სიო არ იძვრის, სუნთქვა სჭირს. აღარ მოისმის სიმინდის ყანებიდან გლეხების საამური გუგუნი. აღარც თოხების შენაცვლებული ჭახა-ჭუხი. სჩანს ყველა გაჰქცევია მწველ მზის სხივებს და ჩრდილისთვის შეუფარებიათ თავი.

მე კი ჩემი მუყაოთი ცხარზე მივემართებოდი ტოპოგრაფიული აგეგმის საწარმოებლად. ძლიერმა სიცხემ მუხლებში მომჭრა და მეც იძულებული შევიქენი ჩრდილი მეძებნა. იქვე მივაგენი ერთ პატარა ხეს და მოვკალათდი მის ქვეშ. უეცრივ ყური მოვკარი საუბარს. იქვე ახლოს ღობის გადაღმა ყანაში დიდი ხის ქვეშ თავი მოეყარათ გლეხებს და ტკბილად ბაასობდენ.

მათი საუბრის საგანი, ჩვენ კურსანტები ვიყავით.

„ღმერთმა ააშენოს მაგათი ოჯახი, შარშან ერთი თვის სამუშევარი ორ დღეში გამითავეს.

მივიდენ ჟრიამულით შეესიენ ყანებს და პირ და პირ ამაშენეს კაცი".

ეხლა ჩემსას არ იკითხავ ყაყუტ? ამომავალი სული უკანვე ჩამიბრუნეს. იმისთანა დროზე მომისწრეს და წამიჯიკავეს, რომ... არ ვიცი, მე როგორ უნდა შევიძლო, თვარა დიდი ვალი დამდვეს დიდი. ამბობს მეორე გლეხი.

— კი მარა ქართველები გვეხმარებიან, თუ გინდა გასაკვირი არ არის, მარა ეს სომხებს და თათრებს რაღას ღაუდევთ მათთვის რა გაგვიკეთებია?

— აი ჩემი შვილი რომ იყო ჯარში, ის სულ გვეუბნება, ჩვენთვის ყველა ერთიაო. კაცო ისეთებს ამბობს, რომ ეს გათეთრებული კაცი სულ ხახა დაღებული შევყურებ, ენა ველარ მომიტრიალებია. არ ვიცი არა რა დროს მოვესტარით. ჩვენ დროს ყაყიტ, ვინ გვ ღირსებდა ასეთებს.

— ჰაი, ჰაი რომ არავინ. ჩვენ დროს დედი შენი შვილი იყავი და ხმა ამოგეღო, ძაღლივით არ შეგიბრალებდენ. ახლა კი წიგნსაც ასწავლიან, რაცხა პოლიტიკა არისო თუ უბედურება იმასაც და ისე უშვებენ უკან.

— კაი მთავრობაა კაი. ძალუან ყურადღება გვექცევა საწყალ ხალხს, ჩვენი შემბრალე და მომხედავი არიან. შე კაცო რავა არ გახსოვს აი დაწყევლილი ნიკალას კურსანტები, რომ მოდიოდენ აქანე „ლაგირში", რავა გვაყურებდენ? ძაღლისავით მივაჩნდით. ეს დალოცვილი კურსანტები კი თოხნაშიც კი გვეხმარებიან.

— აი გუშინ ერთი შემხვდა და მკითხა. გაქვს თუ არა სამუშაოო, ჩვენ შეგვიძლია დაგეხმაროთო.

— ჰაი, ჰაი რომ მოგვეხმარებიან, ხმაგათი მარჯვენის ჭირიმე, მაგათი. ღმერთო შენ გაუმარჯვე მაგათ და ჩვენ კეთილის მყოფელ მთავრობას".

შესწყდა ბაასი. მზევ ოდნავ გადარილიყო დასავლეთისაკენ. დაჰქროლა ნელმა სიომ და აშრიალდა სიმიდის ყანებიც. აქა იქ უკვე გაისმა გლეხების სიმღერა. გახშირდა თოხის ხმა და გლეხების მხიარული შეძახილი. სიცოცხლის სხივი კვლავ გადაეფარა არე-მარეს.

მეც წამოვდექი და გლეხების ტკბილი საუბრით ნასიამოვნებ შევუდექი ჩემს საქმეს.

ასე უყურებს გლეხები ჩვენს ჯარს და საბჭოთა მთავრობას.

ა. ჭკადუა.

## სამხედრო სწავლება ბანაკში.

15 ივნისიდან, თბილისიდან გასული საკავშირო ასეული უკვე დაბინავდა თავის საზაფხულო ადგილზე. ახალ ადგილზე გასვლამ ახალი სიცოცხლე და სიხალისე შეიტანა ასეულში. ჩვენი საზაფხულო მუშაობა მეტად ნაყოფიერი იქნება. წითელ არმიელები გულმოდგინედ ეკიდებიან თავიანთ საქმეს. განსაკუთრებული მზრუნველობით ეპყრობიან სპეციალურ იარაღებს, რომლებზედაც ამ დღეებში დაიწყება სწავლა.

საერთო გამომუშავებული ცხრილის თანახმად ამ კვირაში დაგვეწყება სამწყობრო მეცადინეობა, როგორც ჩვენ ისე ჩვენს მეზობლად მდგარ ნაციონალურ ნაწილებსაც. სამწყობრო მეცადინეობა ჩვენთან სულ რამოდენიმე კვირა გაგრძელდება და შემდეგ კი შეუდგებით სპეციალურ იარაღებზე მუშაობას.

მ-ტაძე.

## 1-ლ საგაუბიცო ბატარეის ცხოვრება.

პირველი საგაუბიცო ბატარეია, სხვა ნაწილებს არ ჩრჩება თავის მუშაობაში. მართალია თითქმის 40 ვერსით ვართ დაცილებული ცენტრს, მაგრამ ჩვენი მუშაობა მაინც ნაყოფიერად ჩაითვლება. ხშირად იმართება კრებები, სადაც ჩვენი ხელმძღვანელები შესაფერად აშუქებენ დღიურ საჭირბოროტო და საერთაშორისო საკითხებს.

15 ივნისს ჩვენს ბატარეიაში შესდგა მთელი შემადგენლობის საერთო კრება. დაესწრენ ახალწვეულები, რომლებიც დიდი ინტერესით ისმენდენ ყველაფერს.

კრების დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება კომინტერნის 5 კონგრესის გარშემო 2) ნაწილის კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიის არჩევა 3) დამხმარე ჯგუფის არჩევა და 5) მიმდინარე საკითხები.

კონგრესის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ცაგარეიშვილი, რომელმაც დაუპირდაპირა მეორე და მესამე ინტერნაციონალი ერთმანეთს და აღნიშნა მესამე ინტერნაციონალის 5 კონგრესის მნიშვნელობა. მოხსენებამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა განსაკუთრებით ახალწვეულებზე.

სხვა კითხვებზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. ტაბუცაძე. მან გან-

მარტა თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს წითელი ჯარის ცხოვრებაში ყოველგვარ უბრალო მოვლენასაცკი, რომელიც წითელი არმიელის სულიერ მდგომარეობას აშკარავებს. ის ეხება დამხმარე ჯგუფისა და სარედაქციო კოლეგიის მნიშვნელობასა მოუწოდებს დამსწრეებს აირჩიონ ისეთი პირები, რომლებიც პირნათლად შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას.

კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიაში არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: ცაგარეიშვილი, ტუხარელი და მენაბდე. ბოლოს მოხდა სამხედრო კორესპონდენტის არჩევნები. კრებამ ერთხმად მიანდო სამხედრო კორესპონდენტის მოვალეობა ამხ. ახალკაცს. რის შემდეგ დამსწრენი დაიშალენ.

ა—ცი.

## საარტილერიო პარკი.

### ახალწვეულები მოდიან.

ჩვენი საარტილერიო პარკი დღითი დღე ივსება ახალწვეულებით. ჩვეულებრივი სიხალისით, საქმიანი შეხედულებით, და ცოდნის შეძენით დაინტერესებული მოეშურებიან ჩვენთან ჩვენი ქვეყნის ჯანღონით სავსე ახალგაზრდობა. რამდენი განსხვავებაა წინანდელსა და ეხლანდელ ახალწვეულებს შორის. თუ წინათ გულგრილად დაუინტერესებლად მოემართებოდენ ჯარის რიგებში, ეხლა პირიქით ახალწვეულნი ისე არიან გათამამებულნი რომ იფიქრებ ამათ უკვე ერთი წელია რაც უმსახურნიათო! ისინი გულდასმით და დინჯათ ისმენენ ყველა მეცადინეობის საათებს.

მეორე მხრივ ახალწვეულები უკვე სათანადო ცოდნით მოდიან ჩვენთან, მათ უკვე იციან თუ ვის ემსახურებიან და რა მიზანი აქვს დასახული წითელ ლაშქარს. ამ მხრივ მათთან მუშაობა მეტად გაადვილებულია. ახალწვეულები ყოველგვარ იმედებს ამართლებენ, ეხლავე ეტყობათ საერთო საქმისადმი ყურადღება და თავისი მოვალეობის შეგნება.

ვუსურვოთ ჩვენს ახალწვეულებს კიდევ უფრო კარგად გაეცნოთ ჩვენი კულტურისა და ცოდნის შეძენის წყარო, წითელი ყაზარმა და ჩქარა შეეძინოთ სახელოვან წითელი არმიელისათვის აუცილებელი ცოდნა განვითარება.

გაუმარჯოს საარტილერიო პარკის ახალწვეულებს!

სამხკორი: ჩხიკვიშვილი.

## რაზედ ვწერენ

### ბიუროკრატები დროზე უნდა აილაგმონ!

მე-2 რე დივიზიის შტაბის საქმის მწარმოებელი მოქ. გედევანიშვილი, როგორც მის მოქმედებიდან სჩანს ძველი დროის მოხელე უნდა იყოს, ყველა დამახასიათებელი თვისებებით მეფის ბიუროკრატისა. მთხოვნელი ვერას დროს ვერ მიიღებს მისგან პასუხს. მისი ჩვეულებრივი პასუხი ასეთია:

„არა მცალია!" ან „თავი დამანებე". მეტ შემთხვევაში სრულიად არ იწუხებს თავს პასუხის გასაცემად.

ასეთ ვაჟბატონებს ადგილი არ აქვს წითელ ჯარში.

ასეთისავე ყოფა ქცევის არის კიდევ ამავე დივიზიის შტაბის მეორე თანამშრომელი მოქ. მაღალაშვილი.

ორივე ისინი გაუსწორებელი ბიუროკრატებია.

საჭიროა ამ თავითვე გაიწმინდოს ასეთ პირებისაგან ჩვენი რიგები და მათი მზგავსებისათვის კი სამუდამოთ დაიკეტოს წითელი ჯარის კარები.

საჭიროა დივიზიის უფროსის სიტყვა.

გორელი.

## ცხენი.

(დასასრული)

საქართველოს წითელ ლაშქრის ახალწვეულო ამხანაგო წითელ არმიელებო! თანახმად მუშათა და გლეხთა მთავრობის ბრძანებისა, თქვენ დღეს წითელ ყაზარმაში გამოცხადებულ ხართ თქვენი ვალის მოსახდელათ. თქვენ აქ ბევრ რამ სხვასთან ერთად დაგხვდათ მუშებისა და გლეხების ოფლით შეძენილი ძვირზე ძვირად ღირებული სამხედრო ცხენთა შემადგენლობაც, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დაცვის საქმეში, თუ ასეთ აუცილებლობას ოდესმე ადგილი ექნება, საშვალებას მოგცემთ თქვენ პირნათლად შეასრულოთ თქვენი წითელი ფიცი, რომელიც მუშებისა და გლეხების წინაშე დაგიდვიათ. რომ თქვენმა უენო, ბრძოლის ველზე ამხანაგ-მეგობრებმა, თქვენმა ცხენებმაც, თავის მოვალეობა პირნათლად შეასრულონ, დღეიდანვე შეიყვარეთ ისინი ისე, როგორც თქვენი საკუთარი ცხენები და ისე მოუარეთ მათ, როგორც ამ წერილში გირჩევთ, მოუარეთ, ამხანაგებო, სამხედრო ცხენს და შეისწავლეთ მისი მოვლის კანონები და როდესაც თქვენს სახლკარს ისევ დაუბრუნდებით, სხვა ცოდნასთან ერთად, რომელსაც წითელ ყაზარმაში შეიძენთ, ცხენის მოვლა პატრონობის ცოდნაც გაავრცელეთ თქვენს მეზობლებში. ცხენი სოფელშიაც თქვენი მარჯვენა ხელი და ამხანაგია!

მაშ მიიღეთ, ამხანაგო ახალ წვეულო წითელ არმიელებო, ქართული წითელი ლაშქრის ვეტპერსონალისაგან და ამავე ლაშქრის ცხენთა შემადგენლობისაგან მხურვალე სალამი თქვენი წითელ ყაზარმაში მოსვლის გამო! ვეტპერსონალი თქვენ გასწავლით ცხენის მოვლას და მის მნიშვნელობას ჯარისათვის, თქვენ კი ამ მოვლასა და მნიშვნელობას შეისწავლით: სამაგიეროთ ჩვენი უენო მხედრები, ჩვენი ცხენები, ათკეცად გადაგვიხდიან ჩვენი საბჭოთა ხელისუფლების გამაგრების საქმეში და მისი იდეალების სრულ განხორციელებაში.

ვეტექიმი: ფარეიშვილი.

## ქართ. დივ. სამხ. ტრიბუნალში.

### დეზერტირობა და ქონების გაფლანგვა.

ცხენოსან ლეგიონის წითელ მოლაშქრე მელიტონ მესხორაძე 1923 წლის აგვისტოს 1-ლ რიცხვებში გაიპარა ნაწილიდან სახლში, თან წაიღო სახმარებლათ მიცემული სახაზინო ნივთები. ორი თვის დეზერტირობის შემდეგ იგი გადავიდა სვანეთში და არალეგალურათ ჩადგა მილიციის სამსახურში და იმალებოდა 1924 წლის თებერვლამდე. თებერვალში დააპატიმრეს, მაგრამ მილიციამ ის გაანთავისუფლა საკუთარ ზედამხედველობის ქვეშ. ა. წ. 31 მაისს კი ის კვლავ შეიპყრეს და გადაგზავნეს გამასწორებელ სახლში. სახაზინო ქონების დიდი ნაწილი გაფლანგული აღმოჩნდა და რაც ჰქონდა იგიც უვარგისი.

აღნიშნული მესხორაძის საქმე რევტრიბუნალმა, თავმჯდომარის—გოგიჩაიშვილის და კოლეგიის წევრების გაბუნიას და კუტუბიძის შემადგენლობით, გაარჩია ამ თვის 18 ივნისს.

ბრალდება იყო ორგვარი ხასიათის: ერთი ის რომ ჩაიდინა დეზერტირობა (211 მუხლი პუნქტი „ბ".) და მეორეც ის რომ სახლში გაპარვისას თან გაიტაცა სახაზინო ქონება და გაფლანგა (მუხლი 213).

აღნიშნული ბრალდებანი ტრიბუნალმა სცნო დამტკიცებულად და მიუსაჯა, ბრალდებულ მესხორაძეს დეზერტირობისათვის, თანახმად 211 მუხლის პუნქტი „ბ"-სი, ერთი წლით გამასწ. სახლში მოთავსება და სამასი მანეთის ღირებული ქონების კონფისკაცია. სახაზინო ქონებათა გაფლანგვისათვის-კი მიესაჯა ექვსი თვით გამსახლში მოთავსება.

უმაღლეს სასჯელის ზომათ დასტოვეს ერთი წელიწადი წინასწარი დაპატიმრების დროს ჩათვლით ანუ 31 მაისიდან.

## კურსანტ ნემსწვერიძის საქმე.

19 ივნისს, თავმჯდომარის გოგიჩაიშვილის და კოლეგიის წევრების გაბუნიას ჟორჟაძის შემადგენლობით, რევტრიბუნალმა გაარჩია ქართ. შეერთ. სამხ. სკოლის კურსანტის გაბრიელ ნემსწვერიძის საქმე. ბრალდებოდა დეზერტირობა (211 მუხ. და სახაზინო ქონების გაფლანგვა (213 მუხ. 1 ნაწ) საქმის გამოძიებამ გამოარკვია შემდეგი:

ბრალდებულ ნემსწვერიძეს ძლიერ დიდი სურვილი ჰქონია სწავლის. უფროს ძმას მისთვის უთქვამს, რომ თუ წავა და ისწავლის ოჯახს ის მოუვლიდა. ბრალდებული შესულა სამხ. შეერთებულ სკოლაში, მაგრამ სამი კვირის შემდეგ უფროსი ძმა გარდაცვალა და ოჯახი დარჩა უპატრონოდ უმარჩენალ ხელოთ. აღნიშნული გარემოების გამო ბრალდებულს მიუმართავს უფროსებისათვის და უთხოვნია განთავისუფლება, მაგრამ მას უარი უთხრეს. წაუღია აუცილებლათ საჭირო ტანისამოსი და წა-

სულა კახეთში სამუშაოთ. შემდეგ შესულა რკ. გზაზე მემუხრუჭეთ. ერთხელ თფილისში ყოფნის დროს მას შეხვედრია ძველი ნაცნობი კურსანტი რომელსაც ის დაუპატიმრებია.

წარდგენილი ბრალდებანი ტრიბუნალმა სცნო დამტკიცებულათ და მიუსაჯა ბრალდებულ ნემსწვერიძეს დეზერტირობისათვის ექვსი თვით გამასწორებელ სახლში მოთავსება და 200 მან. ქონების ჩამორთმევა. სახაზინო ქონების გაფლანგვისათვის (შარვალი და ხალათი) აგრეთვე ექვსი თვით გამასწორებელ სახლში მოთავსება. უმაღლეს სასჯელის ზომად დასტოვეს ექვსი თვე, კონფისკაციის ძალაში დატოვებით.

მაგრამ რევტრიბუნალმა მიიღო ბრალდებულის მძიმე ოჯახური და სოციალური მდგომარეობა, თანახმათ ს.ს.კ. 46 მუხლ. ექვსი თვით გამასწორებელ სახლში მოთავსება შეცვალა პირობითი სასჯელით კონფისკაციის ძალაში დატოვებით,

**დ.**

# ახალი ამბები.

— **კომინტერნის მეხუთე ყრილობისათვის.** კომპარტიის თფილისის კომიტეტის საგიტაციო განყოფილება ატყობინებს ყველა მუშათა წითელ-არმიელთა და კომკავშირის კლუბებს, რომ კომინტერნის მეხუთე ყრილობის აღსანიშნავი სადღესასწაულო საღამოები უნდა ჩატარდეს 22 ივნისს.

— **ამხ. ლუნაჩარსკის მოხსენება.** ორშაბათს 23 ივნისს, სახელმ. ოპერის თეატრში, ამხ. ლუნაჩარსკი წაიკითხავს მოხსენებას ხელოვნების მუშაკთა კავშირის წევრებისათვის.

— **ექსკურსია რუსეთიდან.** გუშინ თფილისში ჩამოვიდა ქალ. ბელიაევის (ტულის გუბ.) საბჭოთა-პარტიულ სკოლის მოსწავლენი რიცხვით 70 კაცი. ექსკურსიამ დაათვალიერა საქართველოს ყველა მნიშვნელოვანი ისტორიული დაწესებულებანი.

— **სახლების შესაკეთებლად.** ქალაქის ბანკის გამგეობამ გამოიმუშავა გეგმა საამშენებლო ამხანაგობეაისათვის სესხის მიცემის შესახებ სახლების შესაკეთებლათ და ახალი სახლების ასაგებათ.

— **დაწმენდილი ყინვა.** ქალაქის სასაკლაოსთან გაიხსნა ყინვის საწმენდი ქარხანა, რომელიც დღეში ამზადებს 660 ფუთ მაღალი ხარისხის ყინვას.

— **შინა ვაჭრობისათვის.** ა. კ. უმაღლესმა ეკონომ. საბჭომ შიხა ვაჭრობის საქმის საჭიროებისათვის გადასდო 41.000 მან.

— **ნიხრი ბოსტნეულობაზე.** ბაზრის ფასების მომწესრიგებელმა კომისიამ დაადგინა მოიწვიოს მებოსტნეების და მუშკოპების წარმომადგენელნი ბოსტნეულობაზე ნიხრის გამოსამუშავებლათ.

— **კოოპერატივები აგარაკებზე.** ბაზრის ფასების მომწესრიგებელმა კომისიამ სთხოვა ცეკავშირს დაჩქარონ აგარაკებზე კოოპერატივების მოწყობა.

— **ხორცის მიწოდება მცხოვრებთათვის.** მუშათა მთლიანმა კოოპერატივმა გადასწყვიტა უახლოეს მომავალში დაიწყოს კოოპერატივში ხორცით ვაჭრობა.

— **პურის საცხობი კოჯორში.** ბაზრის ფასების მომწესრიგებელმა კომისიამ გადასწყვიტა კოჯორის მომხმარებელ საზოგადოებას გადასცეს ის პურის საცხობი, რომელსაც განაგებდა განათ. კომისარიატი, რომელიც მიაწოდებს პურს, როგორც მცხოვრებლებს, ისე საბავშო სახლებს.

— **შეშის შეძენა.** ქალაქის აღმასკომმა ხელშეკრულება დასდო სატყეო ტრესტთან, ქალაქისათვის 1.200 კუბიკ. საჟენი შეშის დამზადების შესახებ.

— **საქონელზე ფასების მომატების აკრძალვა.** ქალ. აღმასკომმა მიიღო სავალდებულო დადგენილება საქონელზე ფასების მომატების აკრძალვის შესახებ.

## ხელოვნება.

— წითელ არმიელთა კლუბში დღეს, წითელ არმიელთა ცენტრ. კლუბში 1-ლ ლეგიონის და საკავ. ასეულის დრამწრეების მიერ გამართება წარმოდგენა, დასდგამენ შ. დადიანის პიესას „გეგეჭკორი".

## შემთხვევები.

— **თავის დახრჩობის მიზნით.** 18 ივნისს ვერის ხიდიდან მტკვარში გადავარდა მოქ. ანტონინა ალისტრატოვისა, რომელიც მცურავებმა გადაარჩინეს და გადაგზავნეს ქალ. საავადმყოფოში.

— **თავის დაჭრა.** 18 ივნისს ლოტკის ქ. № 22 თავი დაიჭრა მოქ. ლუკა მილორდაძემ, ჯიბის დანით. მიზეზი გამოურკვეველია.

— **ქურდობა.** 18 ივნისს მცხეთის საგარაკო წყალსადენ სადგურიდან მოიპარეს მანქანის ღვედი 24 არშინის სიგრძის, ღირებული 500 მანეთად.

# სამხედრო საქმე
# ომი და ქიმია.
## მხუთარი ნივთიერებანი.
### ქლორი.

მომწამლავი ნივთიერებანი თავიანთ მოქმედების მიხედვით იყოფიან 5 ჯგუფად;

1) მხუთარი, 2) შხამიანი, 3) ცრემლის-გამომწვევი, 4) კანზედ იარების გამომწვევი და 5) ცხვირის ცემინების გამომწვევი.

ამ წერილში შევეხებით პირველ ჯგუფის ნივთიერებას.

**მხუთარი** ნივთიერებანი, როდესაც საკმაოთ ჰულენთავენ ჰაერს და ხანგრძლივად მოქმედობენ, იწვევენ მტკივნეულ ხველებას, ფილტვების მკაცრ ანთებას, ფილტვების მოდუნება-მოშვებას და შეხუთვისაგან სიკვდილს. ამ ჯგუფს ეკუთვნის ქლორი, ფოსგენი, დიფოსგენი, რომლითაც „მწვანე ჯვრის" ტიპის ყუმბარები იყო დატვირთული. განვიხილოთ ქლორი.

ქლორს ძალიან ადვილად ღებულობენ ელექტრობის საშუალებით საჭმლის მარილიდან. ჩვეულებრივ სითბოზედ იგი მოყვითალო-მწვანე ფერის აირია, მწვავე-შემხუთავი სუნისა. ქლორი, თუმცა აირია, მხოლოდ სხვა და სხვა პირობებში ჩაყენებული, იგი შეიძლება სითხეთაც გადაიქცეს, ე. ი. ქლორის გაყინვის წერტილამდე გაცივებით $0^{0}$-მდე და ოთხი ატმოსფერის წოლვის ძალით იგი თან და თან იკუმშება სითხეთ; უფრო მეტ გაცივებით $33^{0}$-მდე და ჩვეულებრივ წოლვით იმასვე ღებულობთ, გაყინვის წერტილის ქვევით გაცივებით—$100^{0}$-მდე, ქლორი მაგარ სხეულად იქცევა. ქლორი სითხეს მდგომარეობაში ინახება ფოლადის ჭურჭლებში—ბალონებში.

ქლორი იხმარება აირბალონიან იერიშებში: მას ბალონებიდან უშვებენ და აგრეთვე ისვრიან მას აირმტყორცნით—„ყუმბარების" საშუალებით.

ქლორი ძალიან მხამიანი ნივთიერებაა. იგი აღიზიანებს ცხვირს და ყელს, იწვევს საშინელ ხველებას და ფილტვების სისივნეს.

მხუთარი ნივთიერებით მოწამვლა იწყება გაღიზიანებით, შემდეგ სასუნთქ გზების ლორწოვანი გარსის სისივნე (ცხვირის, ცხვირ-ყელის. სასულესი) და თანდათანობით გადადის ფილტვებზედ. პირიდან ამოაქვს ქაფიანი და სისხლიანი ნახველი. იწყება შემაწუხებელი ხველება, სულის შეგუბება და გულის სისუსტე ზოგჯერ შემჩნეული იყო სიცხის დაცემა მაღალი ტანისა, გულისრევა, გალურჯება და საერთო სისუსტე. სისხლის წებოვანობა მატულობს, და სისხლის შეკვრის პროცესი იწყება, რასაც შეუძლიან სისხლის ბრუნვის ჭურჭლების დახშობა გამოიწვიოს. ამ მოვლენას ხელს უწყობს სხეულის ყოველგვარი დაძაბვა. მნიშვნელოვან ჭურჭლების დახშობას შეუძლია სიკვდილი გამოიწვიოს. გრძნობას მოწამლული ღიდხანს არ ჰკარგავს. ჰაერის ერთ კუბიკურ ლიტრში—თუ ქლორის 2,5 მილიგრამია იგი ითვლება შხამიანათ, ძალლი $^{1}/_{2}$ საათში კვდება ამ ატმოსფერაში. ქლორის გამოსაცნობათ ხმარობენ იოდის კალიუმს, საიდანაც ქლორი გამოჰყოფს იოდს, იოდი ლურჯ ფერად ჰღებავს სახამებელს. ქლორისაგან ფლუორესცეინისა და ბრომის კალიუმის ყვითელი სითხე, რომელშიც რაიმე ტუტეა შერეული, ვარდისფერ-მოწითალო ხდება. აზოტ-მჟავი ვერცხლი იძლევა ქლორის ვერცხლის თეთრ ნალექს. ქლორის საწინააღმდეგოთ იხმარება განსაკუთრებული ნახშირი, ჰიპოსულფიტისა და სოდის შერეული ხსნარი.

ქლორს მშვიდობიან დროს ხმარობენ ქიმიურ წარმოებაში და აგრეთვე სასოფლო მეურნეობაში ჭირნახულის მავნებელთა საწინააღმდეგოთ.

**გ. ბ—შვილი.**

# სამეურნეო განყოფილება.

### კომბოსტოს მავნე ტილი.

კომბოსტოს მავნე ტილი ძლიერ აზიანებს კომბოსტოს, მხალს, თალგამს, ბოლოკს და სხ. ბოსტნეულს.

ეს ტილი და მისი მატლი ლურჯმოყვითალო ფერისაა. მისი ტანი დაფარულია მოთეთრო სანთლის მაგვარ ნივთიერებით, რის გამოც ტილ მისეულ მცენარეს აქვს თეთრი ფერი, თითქოს ვიღაცას ფქვილი მიეყაროს.

გაზაფხულ-ზაფხულის განმავლობაში ტილი ასწრებს რამოდენიმე თაობის გამოჩეკას.

პირველი თაობის ტილი უფრთოა და ცოტას მოძრაობს. შემდეგ თაობებში თანდათან მრავლდება ფრთიანი ტილებიც და შემოდგომაზე კი ფრთებიანების რიცხვი ბევრათ სჭარბობს უფრთოებს, კომბოსტოს ტილი თუ ერთხელ გაჩნდა სწრაფათ ვითარდება და გაჩენის პირველ წელიწადსავე დიდი ზიანი მოაქვს. საზამთროთ დედალი ტილი სდებს კვერცხებს მყუდრო-დაფარულ ალაგას და იქ იზამთრებს.

ეს ტილი მხოლოდ ერთი ჯგუფის (კომბოსტოვან მცენარ.) მცენარეებს ეტანება. აზიანებენ უმთავრესათ ფოთლებს.

ტილები ფოთლებზე აქა-იქ ჯგუფ-ჯგუფათ მოიყრიან თავს და სწუწნიან ფოთლიდან წვენს. ფოთოლი ჭკნება, ხმება და ამ რიგათ მთელი მცენარე იღუპება.

კომბოსტოს მავნე ტილის წინააღმდეგ ბრძოლა ასე უნდა: ვინაიდან ტილი უმეტეს წილათ კვერცხებს სდებს გარეულ სარეველა მცენარეების გამხმარ ნაწილებზე, ამიტომ საჭიროა ბოსტანში სარეველა მცენარეთა მოსპობა.

თვით ტილის წინააღმდეგ უნდა ვიხმაროთ თამბაქოს წვენის ნარევი. თამბაქოს ასე ამზადებენ: იღებენ ერთ გირვანქა იაფ-ფასიან თამბაქოს ფოთოლს და წყალში ალბობენ 3—5 დღის განმავლობაში. ამის შემდეგ ადუღებენ ორი-სამი საათის განმავლობაში. გაციების შემდეგ გასწურავენ საცერში და მიუმატებენ კიდევ ერთ ვედრო წყალს. თამბაქოს ფოთლების მაგიერ შეიძლება ვიხმაროთ თამბაქოს ქარხნებში ნარჩენი ფოთლის ყერწები და სხვა უვარგისი ნაწილები. ამათგან დამზადებული საწამლავი იაფი ჯდება.

თამბაქოს წვენის მისხურება მცენარეს არ ავნებს. მავნე ტილს კი მუსრს ავლებს. ამიტომ რაც უფრო მაგარ სითხეს დავამზადებთ, მით უფრო უმჯობესია საწამლელათ. წვენის მისხურება უნდა სასხურ მანქანით ან ხელით ისე რომ წვეთები თანაბრათ განაწილდეს მთელ მცენარეებზე. მისხურება მწერის გაჩენის თანავე უნდა დავიწყოთ და დრო გამოშვებით უნდა გავიმეოროთ.

**მეურნე.**

# ამონაწერი

**ს. ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წ. 30 იანვრის სხდომის ოქმიდან (5) წით. არმიელთა და რევოლიუციის წინაშე დამსახურებულ მოღვაწეთა ოჯახების უზრუნველყოფისათვის ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების წესისშესახებ.**

წითელ არმიელთა ოჯახების უზრუნველყოფა მთლიანათ დაეკისროს ადგილობრივ აღმასკომებს, რომლებმაც უნდა გამოითხოვონ ზემო აღნიშნულ მიზნებისათვის საჭირო თანხები საერთო წესით. ე. ი. შეიტანონ ხარჯები თავიანთ ხარჯთ-აღრიცხვაში.

განმარტება წითელ არმიელთა განცხადებანი, საჭირო საბუთების თანდართვით უნდა გაეგზავნოს უშუალოთ იმ მაზრის აღმასკომებს, რომლის მცხოვრებიც არიან წითელ არმიელების ოჯახები. თბილისში და მის მაზრაში მცხოვრებთა განცხადებანი უნდა იქნას გაგზავნილი სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის განყოფილებაში.

რადგან წით. არმ. ოჯახის შემადგენლობაში მომხდარ ცვლილებების დროზე მიუღებლობის გამო, ხშირათ შემთხვევაა დახმარების გაცემის ძეჩერებისა, ამიტომ საჭირო არის ადრე აცნობოთ ნაწილების საბჭომებმა მაზრის აღმასკომებს წით. არმ. ოჯახის შემადგენლობაში მომხდარ ცვლილებების შესახებ, აგრეთვე იმ ცვლილების შესახებ წითელ არმიელის სამსახურში, რომელიც მას უკარგავს დახმარების მიღების უფლებას.

# განცხადება

არსდება ქართულ მსროლელ დივიზიის ცენტრალურ კლუბთან დრამატიული, მომღერალთა და პოლიტ წრეები, რომელთაც უხელმძღვანელებს მცოდნე პირები. მოუწოდებთ წითელ არმიელებს ჩაებან ხსენებულ წრეებში სამუშაოთ.

ჩაწერა შეიძლება კლუბში, წრეთა ორგანიზატორთან.

# განცხადება

ქართულ მსროლელ დივიზიის ცენტრალური კლუბი ამით აცხადებს, ყველა წითელ-არმიელების საყურადღებოთ, რომ საზაფხულო საგარნიზონო კლუბში, რომელიც მოთავსებულია პლეხანოვის ქუჩაზე ქალაქის მთავარ საავადმყოფოს პირდაპირ მათ აქვთ უფლება უფასოთ შესვლისა.

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 1000 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი—ლ. ჩანტლაძე.